

ნახ. გ. ლომიძის



საბავარკო მლიჩველოვა.

№ 15 თბილისი აპრილი 1962

საბავარკო

გამოცემის XXXX ჯგუფი, ფასი 20 კაპ.

წყალზე მოწყობა და წყალმომარაგების საკითხი

მშენებელი დაბა ბოლნისი. ბუნებაც მშენებელი აქვს, მშენებელი მდინარეც ჩაუდის — მაშვერა.

წყალიც ჩინებულია, მსუბუქი, საამო, სასიამოვნო. წყალი წყაროა სიცოცხლისა და წყალი სჭირია ადამიანს, როგორც... როგორც წყალი.

ბოლნისის რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის დირექტორმა გიორგი ქვეციშვილმაც ზეპირად იცის, რომ წყალი სჭირია ბოლნისელებს, მაგრამ არა და არ იბერტყავს ყურებს, გულგრილად ისმენს დაბეღების ჩივილს, სულ წყალი და წყალის ჩიჩინით გული გაიწყვალესო, ამბობს თავისთვის და წყალწყალი დაპირებებით ჯერჯერობით წარმატებით გადის ფონს.

„წყალი, ღვთის გულისაფეთს, წყალიო“, — იხვეწებიან ერთნი. „ყელში ნერწყვი გვიშრება“ და გვიშველეთო, შეპლალადებენ მეორენი, — მაგრამ ვინაა გამკითხავი და მწყალობელი!

დღე მოსვენება არა აქვთ დაბეღებს და დამე ძილი, ან წყლის რიგში დგანან საათობით ანდა ონკანს დარაჯობენ, იქნება გამოყოფნის წყალმარ. ძირგვარდნილი ვედროები და ქვები ჩაეწყობა რიგში და ატყდება წყლის მოსვლისთანავე მერევე მოსვლა, დიასახლისების მიწვევა-მოწვევა, ვედროთა ეღარუნე, პატარების სირბილი, ძაღვანთა ჯიქურ მიქრა და უძალოთა კანონიერი დამუქრება.

ამ დროს კი მაიაკოვსკის ქუჩაზე ა. იაგუბოვის, პ. ქარქუზაშვილისა და ვულისანოვის ბაღჩა-ბოსტანში მოჩხრილებს წყაროს წყალი. ირწყვება კიტრისა და ოხრახუშის თამამი ძირები, ფესვები უღებება სააკაძის ქუჩაზე ე. რეხვიასვილის, ს. ჩაგელიშვილის ჩაღურჯებულ სიშინდებს და ისმის სიცოცხლისი, მხიარულება იმათთან, ვინც, კანონიერად თუ უკანონოდ, წყაროს წყალი ეზომი გამოიყვანა.

„მოვიდა“ ჩვეულებრივ იტყვიან მატარებელზედაც, გემზედაც, ადამიანზედაც და ყველა ჯურის მოძრაგ არსებზე თუ სხეულზე, მაგრამ ბოლნისში „მოვიდა“ აუცილებლად იმას ნიშნავს, რომ „წყალი მოვიდა“ და არიქა დატრიალდით, თავს უშველეთო.

ბოლნისელთა ნატურა ერთია მხოლოდ: ადგილობრივი ხელმძღვანელობა წყალწყალი დაპირებებს შეეშვას და წყალი ოცნებიდან სინამდვილედ უქციოს დაბეღებს.

გაგვიყავს აპრონოვა

ბოლნისში ზაფხულობით სტუმარს რა გამოლევს, საკუთარ ტრანსპორტზე და ავტობუსებზე ამხედრებულნი, დაპატრებულნი, თუ დაუბატრებულნი უწყვეტ ნაკადად მოედინებიან ქუჩებში და ბოლნისელებიც ხვდებიან პირგაბადრულნი და გახარებულნი, მაგრამ ვაი იმას, ვისაც არა ხვდებიან და სალი ჰაერით მადამოსულნი საინძლობას რესტორანსა და სასადილოებში ეძებენ. ეძებენ, მაგრამ ვაი ამ ძებნას.

- კიტრი, პამიდორი გაქვთ?!
- არა.
- რატომ?
- იმიტომ, ბატონო, რომ კიტრპამიდორის მაგივრად სასადილო რესტორნებში მისი მოყვანის სპეციალისტებმა მოიყარეს თავი.
- ეგ როგორ?!
- როგორ და დათვალე: ვალერიან მეტივიშვილმა დაამთავრა ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი? — დაამთავრა. მერე რატომ არ მეკითხები, სად მუშაობსო?
- სადა?
- რესტორანში, მეტუფეტედ. ვაჟა მანდარიამ დაამთავრა ბოლნისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი? — დაამთავრა.
- მერე?
- მერე და ისიც მეტუფეტეა.
- ისრაფელ ისრაფილოვმა მიიღო აგრონომის დიპლომი? — მიიღო.
- ეგაც მეტუფეტეა?
- არა, საჩაიეს მზარეული. დგას ახლა ისრაფილა და შაქრის ფხენილს კიქებში ანაწილებს. ასეა ძმაო, ვინლა მოიყვანს კიტრსა და პამიდორს, თუ ყველა სასადილოში ამოყოფს თავს.
- მერე, გემებს როგორა ასრულებთ?
- ისე რომ, ვასრულებთ და ვერც ვასრულებთ. ბოლნისის რაისამომხმარებლო კომპლექსის გამგეობის თავმჯდომარემ მოგვით ჰაქივემა გემების შესასრულებლად მთელი რიგი ღონისძიებები დასახა: საზაფხულო ვაჭრობის გამშლა-გაფართოებისათვის სასტუმროს. გვერდით თობი ბოძი ჩააჭო, ზედ სახურავი გადაათარა. რაც მალაზიებში ჩაწოლილი საქონელი იყო, შიგ შეზიდა და ნოჭრებს უთხრა — აბა, ჰე, ივაჭრეთო, მაგრამ, ნეტავი განახათ, მის გარშემო ისეთი სიცარიელეა, თოფი რომ გაისრლოთ, ძეხორციელს არავის გაკენწლავს. სოფელ ბოლნისის კოლმეურნეობის ყოფილი მოლაგე რაფიკ ბაბაიანი (აი სწორედ ის, გაფლანგვისათვის კოლმეურნეებმა გასაპნულ ნიჩაზე რომ შემოდეს) ბოლნისის სოფლის კომპლექსის გამგეობის თავმჯდომარედ დააწინაურა და ჩემად ჩაუღაპარა: აბა, შენ იცი, ეს უფრო სარფიანი საქმეა და არ დაიბნეო. ამ ღონისძიებების გარდა, ბევრი ისეთებიც გამოუჩინა, რომლის გაგონებაც პამიდორით გააწითლებდა პატიოსან კაცს, მაგრამ ყველას თავისი ანგარიში აქვს და მოგვით ჰაქივე სხვაზე რა ნაკლებია.

ლიმონათი, ლიმონათი

ლიმონათი, ალბათ, არც ერთ დაბაში ისე არ საღებდა, როგორც ბოლნისში. ზემორობა საქმეა, ასეთ გაგანია სიცხეში ბოლნისში სითხე იშოვო და ღვთისმშობლისმადრეული წყალბობით არ ისარგებლო. ალბათ, იმტომ, რომ ქარხნის მესვეურები დედიშობილად უშვებენ ლიმონათით სავსე ბოთლებს, არც თარიღს აწერენ და არც მისი დედა-მშობლის ვინაობას. დღე, მყიდველმა გაარკვიოს, თვის დასაწყისშია გამოშვებული, თუ თვის ბოლოსო, ფასი ხომ მაინც 14 კაპიკია და ეტყეტს რა მნიშვნელობა აქვსო.

— ვისი გამოშვებულია ლიმონათი?! — ეკითხები მალაზიის გამყიდველს და პასუხიც მზადაა.

- აშოტასი.
- რომელ აშოტასი?
- ოსკანიანისა.

ამ განმარტების შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა.

პუკი


რა შეიძლება ითქვას პურის შესახებ. უბუროდ ცხოვრება წარმოუდგენელია. პურს პურის საცხობში აცხობენ. კარგად გამოცხვარი პური გაცილებით ჯობია ცუდად გამოცხვარს. პურს სხვა საშემოდან ერთად ქაშენ. პურს ყიდულობენ პურის მალაზიაში. მალაზია პურს საცხობიდან ღებულობს. კარგი იქნებოდა, რომ ეს ყველასათვის ცნობილი ქეშპირტი-ბა ბოლნისის სოფლის კომპლექსის № 1 პურის მალაზიაშიც ესმოდეთ, სადაც 15 ივლისს (ფაქტურა № 225) მიღებული პურით 18 ივლისს ვაჭრობდნენ.

იგივე უნდა ითქვას ბოლნისის სოფლის კომპლექსის პურის საცხობზე (საცხობის გამგის მოვალეობის შემსრულებელი ვეის ალიზადე). აქ რომ ყოველთვის კარგი პური ცხებოდეს, სასურსათო მალაზია № 1-ის დირექტორი ბეჟანიშვილი იძულებული არ იქნებოდა 18 ივლისს მიღებული პური 204 კგ. როგორც უხარისხო, უკან დაებრუნებინა. იქნება ბრიგადირმა ი. მახვიჩევამ შემდეგში გააუმჯობესოს პურის ხარისხი.

ანწმ



— ბოჩოლა, ფერმის გამგემ მითითებებით და მიმართვებით რომ გამოტენა პორტფელი, სასილოსე კოშკი გამოტენა ის არ ჯობდა?!



—კრებაზე გაგაკრიტიკეს—ბიუროკრატია, ხალხს არ ღებულობს!
— ხომ ახე, აწი ფეხი არავინ შემოდგას ჩემს კაბინეტში, თორემ მოხსნა არ აცდება!



ბოლმა აწვევა ბუღდანს: რაღა მასზე მოიცა-
ლეს ქვეყანამაც და ცამაცა.
მარტიაშვილია გვარად — ბუღდან ქარუმის-
ძე. გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში
დაბადებული, გაზრდილი, დაჯიქაცებული.
მშობლებს უნდოდათ, კაცი გამოსვლოდათ და
კაცია ბუღდანი, აბა... ვინა თქვა, სპეკულანტიო.
დაახ, ბოლმა აწვევა ბუღდანს და არ აძლევს
მოსვენებასა, რადგანაც არა და არ მისცეს საშ-
ველი, არ მოასვენეს კაკალი კაცი...
ჭერ იყო და კოლმეურნეობის თავმჯდომარემ
დაადგა კბილი, ამოიღო უფალში, ზარმაციაო,
ცუღლუტიაო, უსაქმურიო.
მერე მილიცია გადაეკიდა, პარაზიტულ ცხოვ-
რებას ეწვეო, საზოგადოებრივ სასარგებლო
შრომას თავს აჩივებო, სოფლისათვის მეტი
ბარგი ხარო.

იმსჯელა კოლმეურნეობის საერთო კრებამ.
იმსჯელა მილიცია, რაისაბჭომ, მერე, ვითომც
აქ არაფერიო, ერთი მოსმით გადაწყვიტეს
ვაქცისის ზედი, ხორცმეტი სოფელს უნდა მოს-
ცილდესო და დადგინეს: ჯავსახლოთ ბუღდა-
ნიო.

ეს რომ ბუღდანმა გაიგო, ქოში უკუღმა ყა-
ჩაო, ფეხით რომ ვეღარ მოასწრო, მანქანით
გაიბარაო და „ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო“—
პრინციპით თვითონვე, საკუთარი ინიციატივით,
გაარიდა სოფელს თავი.

და დიწყო „ტურისტული“ მოგზაურობა სო-
ფელ-სოფელ, დაბა-დაბა, ქალაქ-ქალაქ. აქ იყო-
და რამეს, იქ გაყოფა, მერე აქედან კიდევ
იქით გადადიოდა და ასე და ამგვარად, კაცი
„საკუთარი ოფლით“ ირჩენდა თავს.

ზოლოს, თავისი „ტურისტული“ მოგზაურო-
ბის ჯერჯერობით უკანასკნელ პერიოდში, ბუღ-
დან ქარუმის-ძემ თბილისქალაქში ამოჰყო თა-
ვი და...


..80 კილოგრამი დარჩეული თართითა და
სასწორით დატვირთულს სისწორე არავინ არ-
წმუნა, თართის საკუთარ სასწორზე აწონვაც
ადარ აცალეს, არც აციეს, არც აცხელეს, ას-
წონდასწონეს მისი საქციელი და სპეკულანტის
იარლიყი მიავერეს.

— ცოლი გარდამეცვალა და წლისთავისთვის
მინდოდა თართით, — ჩიოდა გულამოსკენილი
ბუღდანი, მაგრამ ვინ დაუჭერა, — ამდენი მა-
ინც არ დაგვირდებოდაო, — უთბრეს ურწმუნო
თამებმა. — რაც გადამირჩებოდა, ჩემი ცო-
ლის სულის მოსახსენებლად, მეზობლებს დავეუ-
რიებდიო, — თქვა მან და არც ეს ირწმუნეს;
— სასწორი რაღად გინდოდაო, — კითხეს.

— ვა, რა ხალხი ხართ, აბა, აუწონავს ხომ არ
გაცატანდი, ზოგს მეტი მოუვიდოდა, ზოგს ნაკ-
ლები, მე კი საშარტლიანი კაცი ვარ, თანასწო-
რობა მიყვარს და რას მერჩითო.

ჰოდა, მართლა რას ერჩით ამ სასახელო
ვაქცაცს, მოასვენეთ იგი.
ამბობენ, მოასვენესო.
ღ-ღება სამართალს!

3. ნიკოლოზიშვილი



საქართველოში ჯიბის მარხი

ჩვენი დრო ისედაც სასწაულების
დროა და, რა გასაკვირია, თუ რიგითი,
ადამიანებიც სასწაულთმოქმედებას მი-
ჰყოფენ ხელს და ამ საქმეს წარმატე-
ბით გაართმევენ თავს.

გალის რაიკოოპკავშირის აჩივარის
სოფლის კოოპერატივის № 1 სასადი-
ლოს მეზუფეტე მირო ნაჭყებია ჰყო-
ლია. მიმდინარე წლის 9 მაისის მდგო-
მარეობით, ცუდ მდგომარეობაში აღმო-
ჩენილა მირო, თურმე 1635 მანეთი
ბუფეტის სალაროდან შემოიჭამა ძალა-
უნებურად და ახლა გაზრდილი მადის
გულისათვის მოუთხოვიათ პასუხი
გვიგეო, მირიან ბატონო.

მერე არაყი გაუსინჯავთ. 31 მარტი-
დან 8 მაისამდე ფაქტურით 506 ბოთ-
ლი არაყი მიუღია ნაჭყებიას და 140
ბოთლი ფაქტურითვე მიუცია სხვა წერ-
ტებისათვის. უთვლიათ ბოთლები, უთ-
ვლიათ და 524 ცალი დაუთვლიათ. 38
დღე ხომ ივაჭრეს და ივაჭრეს, ვინ მოთ-
ვლის რამდენი სადღეგრძელო შესვეს,
რამდენ არყისმოყვარულს დაულოცეს
დღე-მამა, დღე-მამისშვილები იმ ბუფეტ-
ში და იმბუფეტისეული არყით, მაგრამ,
ეს დანახარჯიც რომ არ ჩაეგდოთ ანგა-
რიშში, 158 ბოთლი ზედმეტია და ზედ-
მეტი. ამას უბრალო არითმეტიკაც ად-
ვილად ამტკიცებს.

ნაჭყებია მ ხომ მიიღო 506 ბოთლი?
— მიიღო. აქედან ხომ გასცა 140 ბოთ-
ლი? — გასცა. მაშ რამდენი დაიტოვა
ნაჭყებია? რამდენი და 506—140=366.

აღწერის დროს კი აღმოჩნდა 540
ბოთლი. ჰოდა, 524-ს რომ 366 გამოვაკ-
ლოთ დარჩება 158 ბოთლი — არც მე-
ტი და არც ნაკლები. 158 40-გრადუსი-
ანი არაყი? არა, როგორ გეკადრებათ,
კიდევ მაგარი — 42,6-გრადუსიანი, ცე-
ცხლივით გადარეული.

ნაჭყებიასგან შოთა ჭითანავამ გადა-
იბარა ეს არაყი. ქარხნის ბეჭედი არც
ნაჭყებიას ხელში ჰქონდა ბოთლებს და
არც ჭითანავას ხელში. ასევე უბეჭდო,
არაქარხნული წესით დამზადებული არა-
ყი აღმოაჩნდა სასადილო № 1-ის დრო-

ებით გამგეს ბოჩია ჩეფიეს-ძე გამისო-
ნიას

აბა ახლა მიდით და ამტკიცეთ, რომ
გამისონია, ჭითანავა და ნაჭყებია სას-
წაულთმოქმედები არ არიანო. როგორ
გეკადრებათ, ბატონო, თქვენგან მიკ-
ვირს ასეთი დაუკვირებლობა. აბა ერთი
დაუფიქრდით, განა სასწაული არ არის
სასადილომ და ბუფეტმა მთელი 38
დღე ივაჭრონ, ათრონ და ათრონ საყვა-
რელი მუშტრები, აძახებინონ „კუჩხი
ბედნიერი“ და „სი ქოულ ბატა“, ათა-
სობით ნავაჭრი ჩააბარონ სახელმწიფო
ბანკს, თვითონაც ნაარყალი ფულით გა-
მოიტენონ ჯიბეები და მაინც გასასა-
ლებლად მიღებული ბოთლების რაოდენ-
ობამ 158-ით იმატოს, და იმატოს გრა-
დუსიანობამაც.

მამაბაპური გადმოცემებით, ვინმე ში-
ოს თურმე ისეთი მარხანი ჰქონია, რომ
უთვალავ სტუმრებს უმასპინძლდებო-
და დღენიდაგ, მაგრამ მის ქვევრებში
ღვინო არასოდეს არ კლებულობდა, პი-
რიქით, მატულობდა და მატულობდა
როგორღაც.


ეს ლეგენდა ჩვენს სახელოვან წინაპ-
რებს, ალბათ, იმისათვის მოუგონიათ,
რომ შთამომავლობისათვის ჩაენერგათ
სტუმართმოყვარეობა, ესაო და პურმა-
რილიან კაცს ხვავი და ბარაქა არასოდეს
არ მოაკლდებო. ჩინებული ამბავია,
მაგრამ მაინც შეთხზული და მოგონილი
ლეგენდა, ზღაპრული და დაუჭერებე-
ლი...

მაგრამ ზღაპრებიც ხომ ახლა ჩვენს
დროშია და ახლა შიოს მარხის ლეგენ-
დაც... და ახლა სწორედ აჩივარას
სოფლის კოოპერატივის № 1 სასადი-
ლოში.

მოდით ამის მერე და, თუ ბიჭი ხარ,
ნუ აღწერ მათს სამამულიშვილო ღვაწ-
ლსა და დამსახურებას, ჩვენი დროის
მართალკალმიანო მემატიანე!

ი. გერსამია

კვირუასი ღანაკარგი



მოთხრობა

ევსტიხი ჩემოდანოვი სულაც არ იყო მდიდარი. ასი ათასი ბიცოლამ უნდებოდა. თვითონაც იმდენი უნო და მარიფათი - გამოიჩინა. რომ გააორმაგა ეს თანხა.

მოხერხებული კაციც იყო. კანტორაც კარგი ჰქონდა — „ხილ-ბოსტანი“ და ცხრიდან ხუთ საათამდე წარმოების სამეურნეო მოღვაწეობას ამოწმებდა „ხელის ჭუჭყის“ თვალსაზრისით.

რა არ ჰქონდა ჩემოდანოვს! სახლი — ლოკტივეში. სახლი კი არა, სასახლე, მინიატურული მეფის სასახლე.

ტელეფონიც ჰქონდა ევსტიხი პორფირის-ძეს, მაგრამ ჯერ კიდევ ჩაუერთავი. გაოფლილი ხელით დროდადრო აიღებდა ყურმილს და „ალოო“, „ალოო“-ს ძახილით იკვებდა იქაურობას.

ბედნიერების კომპლექტს აკლდა მხოლოდ მსუბუქი მანქანა. უსაზღვრო ფანტაზიის გვირგვინი.

როცა მოუნდებოდა, სურვილი რომ მოუვლიდა, საქმე რომ მოუხმობდა, კომეტის სიჩქარით გაიქრფლებდა ყირიმისა და შავი ზღვის სანაპიროებისაკენ — აღქმულ მხარეს.

ერთის სიტყვით, მანქანა სჭირდებოდა, სჭირდებოდა, როგორც თევზს წყალი და ფრინველს ჰაერი.

ჩემოდანოვი საოლქო სასტუმრო „ოქროს ნაძვის“ ვესტიბულში დადგმულ ტელეფონთან მივიდა და აკრიბა ხუთციფრიანი ნომერი.

ნახ. გ. ფირცხალავისი



162

— სევასტიმ ვაკიდან ისევ დიდუბეში გადაცვალა ბინა?
— ახლა ფეხბურთის მატჩები „დინამოს“ სტადიონზე ტარდება და ახლოს უნდა იყოს!

— ეფიმიჩ? — ხავერდოვანი ხმით გაეხმიანა ევსტიხი ეფიმი-ძეს.

— რა გნებავთ? — თავაზიანად ჰკითხეს მავთულის მეორე ბოლოდან.

— სალამი და გამარჯვება ეფიმიჩს, არის საქმე, მობრძანდით და სასტუმროში მოვილაპარაკოთ!

— მოვილაპარაკოთ! — გაიმეორა ეფიმი-ძემ და სიამოვნების კრუანტელმა დაუარა. მან დიდხანს როდი ალოდინა ჩემოდანოვი. სარგადაყლაპულივით შევიდა დარბაზში და ზვიადად გადახედა ოფიციატს, რომელიც ია-ის იყო პურ-მარილით დატვირთული ლანგრით მიადგა ჩემოდანოვის მაგიდას.

ჩემოდანოვი ისე წამოხტა, თითქო მოწაფეა და მკაცრმა მასწავლებელმა ეს - ეს არის გამოიძახაო, ორივე ხელი ჩამოართვა ეფიმი-ძეს, მიიკითხ-მოიკითხა და სუფრასთან მიიპატიჟა.

ჩემოდანოვი არც კი მოელოდა, რომ ეფიმი-ძე აქე მორჩილად დაჰყვებოდა მის ნება-სურვილს. სუფრას მიუჯდა, ერთი ჭიქა გადაჰკრა და ჩემოდანოვს ნიკოტინისაგან გაყვითლებული ხუთი თითა აუშვირა.

— ხუთი, ახლით? — შეცბა ჩემოდანოვი.

— კაპიცი არ დააკლდება, მუქთად გინდოდა, მამა გიცხონდეს!

შეთანხმდნენ.

— სულ ერთია, მივამსხვრევ სადმე და მივიმსხვრევი თვითონაც, — სულმოუთქმელად წარმოთქვა ჩემოდანოვმა.

— დამტვრევა ღმერთმა გაშოროს, — წარმოთქვა ეფიმი-ძემ, — ღმერთმა მშვიდობით გატაროს ასი წელიწადი, მშვიდობაში მოგახმაროს!

ორი დღის შემდეგ ახალი „ვოლგა“ უღრტვინველად დადგა ჩემოდანოვის ეზოში.

სამსახურიდან დაბრუნდებოდა თუ არა ჩემოდანოვი, უსათუოდ მივიდოდა შალითაში ჩასმულ ახალთახალ „ვოლგასთან“, სიამოვნებით მიარტყამდა წიხლს საბურავებს და „ვოლგაც“ ერთგულად ეხმინებოდა პატრონს.

ყველაფერი ჩინებული იყო, განსაკუთრებით ლამაზი იყო შალითა, რომელიც ჩემოდანოვმა ადგილობრივ ბაზარში შეიძინა, იგი არც წვიმას ატარებდა, არც მცხუნვარე სხივებს.

— ბამ, — ხმინებდა კმაყოფილი ჩემოდანოვი.

— ბამ, — ეხმინებოდა რეზინი.

და აი ამ ხმაზე ერთხელ ვილაც გრძელუღვაშება ახმახი მოვიდა, ნაზად გადაუსვა ხელი ბრეზენტს და აღტაცებულმა წამოიძახა:

— ღმერთმა უწყის, ჩინებულ ფასს გაძღვედი, მაგრამ, თუ არ გინდა, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! თქვა და თვალთ მიეფარა.

მთელი ოთხი თვე იარა და იარა მძღოლების კურსებზე ჩემოდანოვმა შეათეკლასელი მედალოსნის გულმოდგინებით.

მიჭრილ-მიჩხაპნილ მერხზე ძლივს ეტეოდა და უაზრო თვალებით შესცქეროდა უშველებელ შავ დაფას, რომელზედაც ავტონისპექტორი თავგამოდებით ხატავდა საგზაო ნიშნებს.

„ვოლგის“ მფლობელები რატომღაც დიდი გაჭირვებით ითვისებდნენ ქუჩაში მოძრაობის წესებს. და მაინც, მალე ჩემოდანოვმა ხელში შეატრიალა მოყვარულის მოწმობა.

მანქანას ხსნიდნენ გაზაფხულზე. მთელი სოფელი მოვიდა ზეიმზე.

ჩემოდანოვი საზეიმო ხმით შეჰპირდა კეთილთვალემა მეზობლებს, რამდენიც გინდათ, იმდენს გასვირნებთო.

შალითა გადააძრეს და გოცების ხმამ შეძრა იქაურობა.

„ვოლგას“ ტაქსის ჰადრაკული უჯრების წყება ამშვენებდა.

ჩემოდანოვი უხმოდ გაიშხლართა მიწაზე.


— მომკლეს, დამაქციეს!

გონს რომ მოვიდა, მილიციას მიადგა. მხიარულმა კაპიტანმა მიიღო იგი.

— „ვოლგა“ ჰადრაკის უჯრებით?! — ჰკითხა მან ჩემოდანოვს გოცებით. — მაღარიჩი ჩვენზეა, ამ ტაქსის მთელი ზამთარი ვეძებდით. მაღლობა, დიდი მაღლობა.

კაპიტანი წამოდგა და ხელი ჩამოართვა ჩემოდანოვს.

3. მიტინი,
3. ბიტოვი.



მშენებელია საბურთალო თავისი ფართო ქუჩებითა და შესანიშნავი სახლებით. დღითი-დღე ლამაზდება და მხარებს შლის ქალაქის ეს უბანი.

ამ სურათზე აღზევებული სახლები პავლოვის ქუჩაზე მდებარეობენ და № 2ა, № 3ა სახელით არიან მოწოდებული. ნიანგის ელამ თვადებს, მათს სილამაზესთან ერთად, არ გამოპარვია, რომ აღნიშნული სახლების წინ (თუ ეს არქიტექტურულ გაფორმებით არ არის გათვალისწინებული) წყალუბვი გუბე დგას.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ამ გუბეს, მეტი თუ არა, ორი წლის ისტორია მაინც აქვს. მისდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ზაფხულის პაპანაქება სიცხისა, სრულიადაც არ იჩენს დაკლებს ან ამოშრობის ტენდენციებს და აშშორებული წყლის სურნელებით „ატკბობს“ მცხოვრებლებს.

რაც მთავარია, ის შესანიშნავი ინკუბატორი გამოდგა კოლმ.ბუფებისათვის. ისინი თავიდანვე დაეპატრონენ მათთვის განკუთვნილ საგარაკო ადგილს და იმდენად მომრავლდნენ, რომ საშუალებას აღარ აძლევდნენ მცხოვრებლებს ხანდახან მაინც გააღონ ფანჯრები ჰაერის გასაწმენდათ და ოთახების გასანიავებლად.

ამბობენ, რამდენიმე ბაყაყიც გამოჩნდა ამ მიდამოებში და მალე მოსალოდნელია მათი მასობრივი ჩასახლების დაწყება გუბეში. თუ ეს მოხდა, მაშინ მათი ხმაშეწყობილი ყიყინითა და კოლმ.ბუფების ბზუილით გამართულ კონცერტებს უფასოდ მოიხმენენ აქაური მცხოვრებლები.

დავიჯეროთ, ვისაც ეს ეხება, კოლმ.ბუფების ბზუილისა და ბაყაყების ყიყინის საესტრადო გამოსვლების ადგილად გადააქცივენ ამ მშენებელ ქუჩას?!

მითიზადა

- საანგარიშო მოხსენება მზადა გაქვთ?
- მზადა მაქვს.
- რაზეა გამახვილებული ყურადღება?
- რა ვიცი, ჭერ არ წამოიკრთება.

საბუღალსო მიზეზი

- დიდი ხანია ჩვენთან არ დადიხართ.
- რა ვქნა, გული მაქვს ცუდად.
- რა გჭირთ?
- გულის აცრუება.

მიზეზი

ადგილკომის თავმჯდომარე დირექტორთან შევიდა:

- საწყობის გამგის განთავისუფლება გლომბიათ... ეს კაცი მღიჟღინელი და ხალტურისტი არ არის და რაა მიზეზი?
- მეტი რაღა მიზეზი უნდა!

შანი დასვენებისა

ჭირვეული ცოლის პატრონს ქუჩაში მეგობარი შემოხვდა:

— აქა ხარ, კაცო? მითხრეს ისვენებსრა?

— მართალი უთქვამთ. ცოლი აგარაკზე გავგზავნე დასასვენებლად.

გამგონე პაციენტი

ერთ კაცს სიმსუქნე აწუხებდა. ექიმმა ურჩია, გასეირნება მოეხდებო. თვე რომ გავიდა, ექიმმა ისევ გასინჯა.

- არ შეასრულეთ ჩემი რჩევა?.
- პირიქით, ექიმო, დღედაღამე დავსეირნობ... მე ხომ საკუთარი მანქანა მყავს!

ა. ბასილიანი

ტელეფონი და მე

დაილოცოს ტელეფონის მომგონი. ვინ მომაწყო მე სამსახურში? ტელეფონმა, ხომ? ვასიკოს რომ არ დაერეკა კატოსთვის, მის ქმარს — დიდებულისათვის, იმას — ცნობილისათვის და იმის ცოლს — ჩვენი დირექტორისათვის, ვიჯდებოდი ახლა მე საწერ მაგიდასთან და მექნებოდა ტელეფონი? მაშასადამე, ვინ მომცა მე ტელეფონი? — ტელეფონმა, ხომ?

ახლა იბადება კითხვა:

1. რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება უტელეფონოდ და რა ვიქნებოდი მე?
 2. უტელეფონოდ გავიგებდი თუ არა: რა მოუტანეს ნაზიკოს მისი გოგოს დაბადების დღეზე ვანომ და მისმა ცოლმა. როგორია ანიკოს ახალი კაბა და სულ რა დაუჯდა ატელიეში (გაფორმებით და ისე)?
 3. უტელეფონოდ მეცოდინებოდა თუ არა: რას ელაპარაკება მმართველი ჩვენს დირექტორს; ან სხვა თანამშრომელს რომ ურეკავენ — რისთვის და აქედან რა პასუხს ღებულობენ, ვის ვინ უყვარს...
- უ, რამდენი რამე ვიცი, მკითხეთ, ჩაგიკაკლავთ.

ლ. მარტაშვილი

გასეირნება ჰიათურაში

ჰიათურას გაუმარჯოს, მის უმდიდრეს საბადოებს, რომლის შავი ოქროს ხვავი ქარხნებს უხვად ასაზრდოებს.

გმირულ შრომის მქუხარ ხმებში გახვეულა ცა და მიწა, მაგრამ მიკვირს, აქაურებს გზები რატომ დაავიწყდათ?!

საბავირო ქსელის ხილვამ გამახარა, გამაოცა, მაგრამ რაა, ქვეშ მიწაზე არ გივარგა გზები როცა.

რგანში ვიყავ, რგანი ვნახე, რგანმა გული გამიხარა, მაგრამ ვაი, ძლივს გადავურჩი იმ მთის სოფლის გზას და შარას.

არ განვიქიქო, არ გავლექსო, არ მომიტმენს ისე გული. გზის მშენებლებს უნდა ჰქონდეთ თავის გზების სიყვარული.

ანკესა კალმახაძე



ნაბ. დონისა

— ორი თვეა სახლის მშენებლობა დამთავრდა და სამშენებლო ნაგავი ჯერაც არ გაგიტანიათ!?

— ერთ კვირაში სახლის რემონტს იწყებენ და რა საჭიროა ეზოს გაწმენდა!

რედაქტორი ნ. შველიძე. სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალონი, მ. ქარჩავა, ო. ჰელიძე. საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няанги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის განზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 8/VIII-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № შვეკ. № 1466, უფ. 08825 ტირაჟი 40.000

დასავლეთის გარკვეული წრეები განიარაღების შესახებ მოლაპარაკებას სალაყ-
ბოდ აქცევენ იმისათვის, რომ განიარაღების შესახებ სიტყვების შირშით შეინაჩ-
ჩუნონ სამხედრო ბიზნესის მაღალი კონიუნქტურა, დაახვედონ იარაღის ახალი
გროვები.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვიდან საუოვედლოთაო განიარაღებისა და
მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე 1962 წლის 10 ივლისს).



საქართველოს საბჭოთა კავშირის
412
თბილისი 14.VIII - 68